პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 4 აგვისტო № 180 (16920) ფასი 2 კაპ. 1977

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

რესპუბლიკის მეაბრეშუმეთა დიდი გამარჯვება

საქართველოს მეაბრეშუმეებმა, რომლებიც აახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი შრომითი წარმატება მოიპოვეს. ამჟამინდელ რთული პირობების მიუხედავად მათ გადაჭარბებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების ფლიური გეგმა და სახელმწიფოს 18.038 ცენტნერი აბრეშუმის პარკი მიჰყიდეს გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ცენტნერის ნაცვლად.

მეაბრეშუმეობის განვითარებაში მაღალი მიღწევების მოლოდინი, ეს ... მეაბრეშუმეთა დიდი კოლექტივის დაძაბული შრომა, რომლებმაც გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრება უმაღლესი მოსავლის მოღებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

მეაბრეშუმეობა საქართველოს ხოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. აქ დაგროვილია აბრეშუმის ჭიის, თუთის კორომების მოვლის, ძვირფასი პროდუქციის წარმოების მდიდარი გამოცდილება. ადგილობრივი აბრეშუმის პარკი მუდამ იყო განთქმული თავისი ხარისხით, დიდად ფასობდა საერთაშორისო ბაზრებზე.

მეაბრეშუმეობა სწრაფ განვითარებას იწყებს ოცდაათიან-ორმოციან წლებში, როცა აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქარობნული მეთოდი, რომელიც მოწინავე მეაბრეშუმემ ოსანა აივაზაშვილმა შეიმუშავა, რესპუბლიკის მეურნეობათა უმრავლესობამ დანერგა.

მაგრამ შემდგომში ამ დარგის განვითარება შეფერხდა. ამაში გარკვეული როლი შეასრულა თუთის ხეების ფართოდ გავრცელებულმა დაავადებამ — ხიხუჟუჟემ. ამის შედეგად მოისპო მთელი პლანტაციები, მკვეთრად შემცირდა მოსავლიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ენერგიული ღონისძიებანი განახორციელეს ხოფლის მეურნეობის ამ ტრადიციული დარგის აღორძინებისათვის. 1974 წლიდან მოყოლებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ კონკრეტული და ეფექტიანი ღონისძიებანი შეიმუშავეს მეაბრეშუმეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. მიღებული იყო სპეციალური დადგენილება, რომელიც ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციას, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ავალებდა მაქსიმალურად ეზრუნათ მეაბრეშუმეობისათვის. ამ პატრიოტულ საქმეში ჩაებნენ მეცნიერები და სპეციალისტები.

თუთის ნარგავების ფონდის აღდგენასა და გაფართოებასთან ერთად წარმოებდა თუთის იმ ჯიშებისა და ჰიბრიდების გაუმჯობესება-გამრავლება, რომლებიც გამოირჩევიან უხვი ფოთლიანობით, მაღალი საკვები ღირსებებით.

ოქ, სადაც მეაბრეშუმეობას სათანადო ყურადღებით ეკიდებოდნენ, ნარგავებს გულდასმით და მზრუნველობით უვლიდნენ, ყველა სამუშაოს ზუსტად აგროწესების მიხედვით ასრულებდნენ, მეაბრეშუმეთა მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას უნარიანად იყენებდნენ, უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მკვეთრად გაუმჯობესდა დარგის მდგომარეობა.

წლევანდელ სეზონში აბრეშუმის პარკის წარმოებასა და დამზადებაში მაღალი მაჩვენებლები მოპოვეს ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, მახარაძის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გალის, ხობის, აბაშის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, თერჯოლის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, გორის, ბოლნისის, ამბროლაურის, მცხეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ქარელის, ბაშურის, ხელვაჩაურის და ქედის რაიონების, ქალაქების წყალტუბოს, ტყიბულისა და ჭიათურის ზონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლაგოდეხის რაიონის ხოფელ აფენის ჰავეკავაძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც წელს სახელმწიფოს 271 ცენტნერი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი მიჰყიდა გეგმით გათვალისწინებული 238 ცენტნერის ნაცვლად, ყვარლის რაიონის ხოფელ ჭიკანის მარჭხის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 172 ცენტნერი პროდუქცია დაამზადა, რაც გეგმაზე 19 ცენტნერით მეტია.

მეაბრეშუმეთა შორის არიან შრომის დამკვრელებიც. ცხაკაიას რაიონის ხოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნემ ზ. ტყიბუჩავამ, მაგალითად, დაამზადა 256 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ცოტათი ნაკლები მას მახარაძის რაიონის ხოფელ ცხემლისხიდის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე ვ. ლომთათიძე, რომელმაც მიიღო და სახელმწიფოს მიჰყიდა 228 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც უნარიანად ავლენენ დამატებით რეზერვებს, ყაირათიანად, რაციონალურად უძღვებიან საქმეს, შეძლეს მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა.

ორი წლის წინათ რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველომ აღწერეს თუთის ნარგავები. ეს მონაცემები წლითიწლობით ზუსტდება. ახლა რესპუბლიკაში არის 5.590 ჰექტარი თუთის პლანტაციები, რაც 2.200 ჰექტარით აღემატება 1974 წლის მაჩვენებლებს, ქქვსმა სახელმწიფო ნაკრებემ გასულ ხეზონში დახარგავად მოამზადა ორ მილიონზე მეტი ნერგი. თუთის პლანტაციები გაშენდა 1.160 ჰექტარ ფართობზე, რაც გეგმაზე 12 პროცენტით მეტია.

კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანებია დასახული რესპუბლიკის მეაბრეშუმეთა წინაშე ხუთწლედის დამლევისათვის. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სანერგე მეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, თუთის ნარგავების დაავადებათა წინააღმდეგ უფრო ქმედითი ბრძოლის ორგანიზაციისათვის. დღევანდელი კურსი ის არის, რომ მეაბრეშუმეობა გადავიყვანოთ სამრეწველო საფუძველზე. დარგში დანერგილ ... ...

... ...

... ...

...

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

თვალთახედვის არეში — პრაქტიკული საქმიანობა!

სწავლობენ თანამედროვეობის თვალსაჩინო დოკუმენტებს

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ყველა პარტიული ორგანიზაციის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, იდეოლოგიური დაწესებულებების იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრშია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტის პროპაგანდის, განმარტებისა და განხილვის საკითხები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებული ხაორგანიზაციო და პოლიტიკური ღონისძიებების გეგმაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა მიიღო, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდის, განმარტებისა და შესწავლის ორგანიზაციას.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგეს ნ. კოშახიძეს ეამბნა, თუ როგორ ეწყობა ეს მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების ღრმად შესწავლის მიზნით, თქვა ამხ. კოშახიძემ, მუშაობა განაახლა კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემამ. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა და მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების შემსწავლელი ოთხი ათასზე მეტი მოკლევადიანი სკოლა, ისინი მოიცავენ 150 ათასზე მეტ კაცს, რომლებიც ადრე არ შედიოდნენ პარტიული განათლების ქსელში. ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოს დაახლოებით მილიონი მშრომელი სწავლობს თანამედროვეობის ამ თვალსაჩინო დოკუმენტებს, მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს მათ, თავვანთ ცხოვრებას უდარებენ მათთვის მინიჭებულ დიად უფლებებს, რომლებიც მათთვის შთაგონების მძლავრი წყაროა მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობების შესრულებისათვის. ამ რიცხვში არ შედიან მოხსწავლეები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც სამშენებლო რაზმებში შრომობენ, პიონერთა ბანაკებში ისვენებენ. კარგი ინიციატივა გამოიჩინა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ, რომელიც თავის ფურცლებზე ახალგაზრდობისათვის ბეჭდავს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებული ხაუბრების სპეციალურ ციკლს.

ივნის-აგვისტოში პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის რეკომენდაციებით ეწყობა სსრ კავშირის ძირითადი კანონის შემსწავლელი ხუთი მეცადინეობა. სამი მეცადინეობა უკვე მოეწყო. პირველი მათგანი მიეძღვნა თემას: „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, მეორეზე შეისწავლეს საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა“. მესამე მეცადინეობის თემა იყო: „სსრ კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წესწყობილების საფუძვლები. სახელმწიფო და პიროვნება“. მეოთხე მეცადინეობაზე განიხილავენ საკითხებს: „სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილება. სახალხო დეპუტატთა საბჭოები. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები“. უკანასკნელი, მეხუთე მეცადინეობა მიეძღვნება „მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აგებულების საფუძვლებს“.

დიდ ზრუნვას იჩენენ პროპაგანდისტული კადრების მომზადებისათვის, რომლებსაც არჩევენ ყველაზე მომწიფებული, იდეურად შეიარაღებული, მეთოდიკურად მომზადებული ამხანაგებისაგან.

პოლიტგანათლების რესპუბლიკურმა სახლმა შეიმუშავა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი აგიტასაუბრების და პოლიტინფორმაციების, თეორიული კონფერენციების თემატიკა. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში ეწყობა კონფერენციები თემებზე: „ჩვენი სახელმწიფო საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოა“, „განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების კონსტიტუცია“, „სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად“, „საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა“, „ახალი კონსტიტუციის პროექტი სახალხო დეპუტატების საბჭოების შესახებ“, „სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები და მათი მოვალეობანი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად“ და სხვა.

მაღალ დონეზე მოეწყო კონფერენციები თბილისში, სიღნაღის, ახმეტის, დუშეთის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ახლა პოლიტგანათლების სახლი პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებთან ერთად ამზადებს თეორიულ კონფერენციებს, რომლებიც ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონს.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლთან გაიხსნა სპეციალური საკონსულტაციო პუნქტი, სადაც მოქმედებს სემინარი პროპაგანდისტებისათვის, ოპერატიულად იგზავნება ადგილებზე და ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში მეთოდიკური მითითებანი ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. სემინარის მეცადინეობებზე ხიტემატურად ისმენენ ინფორმაციას ადგილებიდან სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდისა და განხილვის მიმდინარეობის შესახებ. სემინარის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ წამყვანი მეცნიერები — ისტორიკოსები და სამართალმცოდნეები. საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ მოაწყეს პროპაგანდისტების „მრგვალი მაგიდა“, სადაც ისინი გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. პროპაგანდისტების დასახმარებლად გამოვიდა პროფესორების ვ. მერკვილაძის, ვ. ფარჯოსაძის, გ. ერემოვის ბროშურები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და შესწავლის საკითხები შედგმა არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში. იგი ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოს, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, იდეოლოგიურ მუშაკებს მიზნად უსახავს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დოკუმენტების ყოველმხრივ და ღრმა განხილვას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვა და შესწავლა რესპუბლიკაში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე მიმდინარეობს, მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მუშაობასთან, 5 XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან, მეათე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებასთან.

პროექტის შესწავლის პროცესში რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები კისრულობენ ახალ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს. ასეთია, მაგალითად, ქართველ მეჩაიეთა, რუხთაველ მეტალურგთა, თბილისელ ჩარხმშენებელთა და გვირაბგამყვანთა, ფოთის ნავსადგურის მუშაკთა და ბევრი სხვა კოლექტივის პატრიოტული ინიციატივა.

ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც ამ დღეებში განიხილა რესპუბლიკაში ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის საკითხი, აღნიშნა, რომ ამ საქმეში კიდევ არის ნაკლოვანებანი. ყველა რაიონში არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი კონსტიტუციის პროექტის შემსწავლელი მოკლევადიანი სკოლების ფართო ქსელის შესაქმნელად. სათანადოდ არ არის გაჩაღებული ეს მუშაობა მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ყველა საქალაქო კომიტეტი და რაიკომი როდი ზრუნავს სკოლებისა და სემინარების მეცადინეობათა თემებზე, არ ისმენს და არ იხილავს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესწავლის მიმდინარეობის საკითხებს.

პროექტის მასობრივი განხილვის დროს მშრომელთა თვალთახედვის არეში უნდა იყოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის სხვადასხვა რგოლის პრაქტიკული საქმიანობა. საქმე ეხება აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ადამიანებს აწუხებს. სწორად იქცევიან ის, სადაც ოპერატიულად და კონკრეტულად ეხმაურებიან კრიტიკას, სწრაფად იღებენ საჭირო ზომებს, ითვალისწინებენ ყოველ წინადადებას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალმა და ნამდვილად საქმიანმა განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს მთელი იდეურ-აღმშრდელობითი მუშაობის ახალ აღმავლობას, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულ შეხვედრას, ჩვენს რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედის მეორე წლისა და მთელი ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

საოქტომბრო ვახტაზეა მთელი საბჭოეთი

ერთიან ძეურ ოჯახში

2. ესტონეთი

დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელიწადი ესტონეთში სასიპარული მოვლენით დაიწყო: მას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის 1976 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებებისათვის გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ესტონეთის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების კანონზომიერი შედეგია. ისინი ნათლად მოწმობენ დიდი ოქტომბრის, კომუნისტური პარტიის იდეების, საბჭოთა ხალხების მეგობრობის გამარჯვებას.

შთაგონებული შრომის წლები

ვ. ი. კლაუსონი,
ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

□

ესტონელი მშრომელები „ასაღვრად ამაყობენ იმით, რომ შეასრულეს მრავალეროვანი საბჭოთა — სსრ კავშირის მოქალაქენი არიან. მჭიდრო თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების შესანიშნავი ნაყოფი ყოველ ნაბიჯზე ჩანს. თუ, მაგალითად, ესტონეთის სსრ ახლა აწარმოებს ასე ბევრ ელექტროენერგიას, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, რომლებმაც ელექტროსადგურებისა და ფიქლის მომპოვებელი საწარმოებისათვის სხვადასხვა მოწყობილობა გამოგზავნეს. ესტონეთის სსრ, თავის მხრივ, აქტიურად უწყობს ხელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასაღხო მეურნეობის განვითარებას, აწვდის მათ ელექტროენერგიას, მანქანებს, ხელსაწყოებს, სახალხო მოხმარების საქონელს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონე შესაძლებელი გახდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან დიდძალი ტექნიკის, მინერალური სასუქების, კონცენტრირებული საკვების შემოტანის მეოხებით. მარტო მეცხრე ხუთწლედში ესტონეთის სოფელმა მიიღო 13,8 ათასი ტრაქტორი, 2,1 ათასი მარცვალასაღები კომბაინი, 7,6 ათასი ავტომობილი და ბევრი სხვა მანქანა.

ესტონეთის მშრომელებმა დამკვრელურად დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედი და აღმავლობით დაიწყეს მეათე ხუთწლედი. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის პირველი წლის გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა. მოწყობმოქმედებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 31 ცენტნერზე მეტი მარცვლეული.

საიუბილეო წელს მშრომელებმა მაღალი მიზნები დაისახეს. და პირველი შედეგები მოწმობენ ნიკოსრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

„ჩვენი ხუთწლედი ეკონომიკის ენაზე გადაყვანილი ხალხთა მეგობრობის ლენინური ხუთწლედია“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. მეათე ხუთწლედში ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ საბჭოთა ესტონეთის სახალხო მეურნეობაც. უპირატესი ტემპით განვითარდება ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი, ფიქლქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს 1980 წლისთვის მიღწეულ მარცვლეულის უხვმოსავლიანობას, მოიწიონ სულ ცოტა 35 ცენტნერი ჰექტარზე. ბევრი რამ გაკეთდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დაავსებელთ მხოლოდ ერთ ციფრს: რესპუბლიკაში უნდა ამენდეს დაახლოებით 60 ათასი ბინა.

მთელ რესპუბლიკაში — ფიწოთის ყურის ნაპირებიდან მომმე ლატვის სიზღვრებამდე, მოიზუნდის ირეპიელგის კუნძულებიდან ჩუდის ტბამდე — ესტონელი ხალხი აღფრთოვანებით იბრძვის სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს ძლიერების გამმტკიცების საქმეში, კომუნიზმის მშენებლობაში.



ესტონეთის მეცხოველეობის და ვეტერინარიის ა. შენდელის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თორმეტი საცდელი მეურნეობა ახალი ტექნიკით აღჭურვა, აქ ბევრი რამ კეთდება რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარებისათვის.

სურათზე: ინსტიტუტის „ლაატერეს“ საცდელი მეურნეობა ახეთში ახალმა სახენაუე კოშკებმა დაამშვენა.

საკუთარი ფოტოკორესპ.

ციფრები ექვყვეფლებენ

● ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ბალტიის ზღვის პირას მდებარეობს. მისი ფართობი 45,1 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 1.447 ათასი კაცი. დედაქალაქი ტალინი.

● სწრაფად განვითარდა ესტონეთის სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. რესპუბლიკის რუკაზე სამი ახალი ქალაქი და 22 ქალაქის ტიპის დასახლება გაჩნდა. მარტო ბოლო წლებში აღსდგა და აშენდა 500-ზე მეტი სამრეწველო სწარმო. 1976 წელს რესპუბლიკის მარტო კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამკერ მეტი ელექტროენერგია მიიღეს, ვიდრე 1940 წელს მთლიანად აწარმოვა ესტონეთის ყველა ელექტროსადგურმა. ომისშემდგომ წლებში აშენდა 15 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ახალ ბინებში შეხახლდა და საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესა რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტმა.

● სამრეწველო პროდუქციის წარმოება საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის 50-ჯერ გაიზარდა.

ფიქალის მხარე

საიუბილეო წლის დამდეგიდან საწარმოო გაერთიანება „ესტონეთფიქალის“ საწარმოებში მარტო გეგმის გადაჭარბებით მოპოვებულია დაახლოებით 900 ათასი ტონა სათბობი — ამდენი ფიქალი ამოღებული იყო მთელი 1939 წლის მანძილზე ბურჟუაზიულ ესტონეთში. „საწვავი ქვის“ ყოველწლიური მოპოვება ახლა შეადგენს ათობით მილიონ ტონას.

ფიქალის აუზის ცენტრია ქალაქი კოხტლა-იარვე.

კოხტლა-იარვე, რომელშიც ასი ათასამდე მცხოვრებია, მდებარეობს ფინეთის ყურის მაღალი ციცაბო ნაპირის გაყოლებით, რომლის ახლოს გადის ტალინ-ლენინგრადის მოასფალტებული გზატკეცილი. თუ ღამით ავტომანქანით გაიარეთ, მარჯვნივ გამოინდება გაკაშკაშებული მეშახტეთა ქალაქის ქუჩები, აბრიალებული ელექტრული ტრიკოლონების მწვერვალებზე.

ძველი მაღაროების ადგილას, სადაც ბურჟუაზიულ ესტონეთში წერაქვითა და ნიჩბით იღებდნენ ფიქალს მეშახტეები, ომისშემდგომ ხუთწლედებში აშენდა თანამედროვე „სამთომომპოვებელი საწარმოები.

ახალი ცხოვრების შუქით გაბრაღდნებულა მეშახტეთა მხარე. ციმციმებენ ახალშენებათა სინათლეები. აქ დაიწყო რთული მინერალური სასუქების გიგანტური ქარხანა — მეათე ხუთწლედის პირმშოს მშენებლობა.

ვ. სიმბერგი,
„სოვეტსკაია ესტონიას“ კორ.

სამშობლოს კეური

მრავალი საუკუნის მანძილზე სიმწრით შოულობდნენ პურს ესტონეთში. მას თელავდნენ მტრები, იბუგებოდა ომის ხანძარში. თან პურს მდიდრის სუფრაზე უფრო ნახავდი, ვიდრე ღმათთან, ეისაც იგი მოპყავდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ნამდვილი ბარაქა ჩვენს ქვიან ნიადაგს. და არა მარტო პური. სამშობლოს ბედის შეცვლასთან ერთად შეიცვალნენ ადამიანები — ხასიათით, ეზრებით, მისწრაფებებით! ეს გარდაქმნები დაიწყო 1940 წლის ზაფხულში, როცა თავისუფლებამ ფილეგებიდან გამოაღწია. სასიხარულო შრომით აღსავსე პირველი წელი გარდაქმნების დასაწყისი გახდა, მაგრამ დადგა ომის მკაცრი განსაცდელის ხანა, ჩემი ხალხის შეალების გმირობის ხანა. ბევრი ცრემლი დაღვარეს, დიდი ტანჯვა-ეაება გადაიტანეს დედებმა. და დადგა გამარჯვებელთა შინ დაბრუნების, ახალი შეიარაღებული ცხოვრების მშენებლობის დრო.

ჩვენ ელაპარაკობთ დღევანდელ დღეზე და მომავლის გეგმებს ვაგებთ. საბჭოთა ხელისუფლება ჩვენ ხელისუფლებაა.

სამშობლოს პური. მის სურნელს ვგრძნობთ დღეს, შეეგრძნობთ ხვალაც და შორეულ მომავალშიც.

**მ. კესა

ᲩᲔᲚᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲓᲓᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲩᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲛᲗᲔᲚᲘ მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ჰელსინკში ხელმოწერის მეორე წლისთავს. პრესის კომენტარებში, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების განცხადებაში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კლიმატის დამკვიდრებისათვის.

ᲙᲠᲐᲚᲔ. სრულიად ევროპის თათბირის შემდეგ განვლილმა ორმა წელიწადმა ცხადყო დაძაბულობის შენელება და კონფრონტაციიდან ევრპის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანამშრომლობაზე გადასვლის ის ტენდენცია, რომელსაც მომავალი იკითვნის, წერს მოწმენიანი სტატიაში გაზეთი „რუდე პრავო“.

„სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის, განიარაღების გაზრდისათვის. ისინი პირნათლად ასრულებენ ვალდებულებებს ევრპეთ წოდებული „მესამე კალთის“ დარაზმაზეც. მაგრამ ბორეუფაზიულ ქვეყნებში არსებობს ძალები, რომლებიც თავდაპირველად მწვავედ ილაშქრებენ ჰელსინკის თათბირის დღეების წინაალმდეგ, ახლა კი თავს მის დამცველებად ასაღებენ, რათა ბოროტად გამოიყენონ საბოლო აქტის დებულებანი, განსაკუთრებით მისი მესამე ნაწილი და დასახონ კონტრრევოლუციური ხასიათის პოლიტიკური დავერსიათა გეგმები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სრულიად ევროპის თათბირის დამთავრების შემდეგ განვლილმა ორმა წელმა ცხადყო, თუ რამდენად სასარგებლო იყო აქ მიღებული გადაწყვეტილებანი, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით მოწვეული ამ თათბირის მონაწილეებმა პირველად ისტორიაში შეიმუშავეს კონტინენტზე მშვიდობიანი თანაარსებობის ნამდვილი ქარტია. ევროპის უშიშროება, რომლის პოლიტიკური საფუძვლები ჰელსინკში თათბირის დღეებს წინაალმდეგ, ახლა ეს თავს მის დამცველებად ასაღებენ, რათა ბოროტად გამოიყენონ საბოლო აქტის დებულებანი, განსაკუთრებით მისი მესამე ნაწილი და დასახონ კონტრევოლუციური ხასიათის პოლიტიკური ინიციატივები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სრულიად ევროპის თათბირის დამთავრების შემდეგ ორმა წელმა ცხადყო, თუ რამდენად სასარგებლო იყო აქ მიღებული გადაწყვეტილებანი, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით მოწვეული ამ თათბირის მონაწილეებმა პირველად ისტორიაში შეიმუშავეს კონტინენტზე მშვიდობიანი თანაარსებობის ნამდვილი ქარტია. ევროპის უშიშროება, რომლის პოლიტიკური საფუძვლები ჰელსინკში თათბირის დღეებს წინაალმდეგ, ახლა ეს თავს მის დამცველებად ასაღებენ, რათა ბოროტად გამოიყენონ საბოლო აქტის დებულებანი, განსაკუთრებით მისი მესამე ნაწილი და დასახონ კონტრრევოლუციური ხასიათის პოლიტიკური ინიციატივები.

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიადი ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო ხალხს მოწოდებით მიმართა. ჰელსინკის მონაგებათა ხელმოწერა, ნათქვამია მოწოდებაში, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განაწილებაში ის ცვლილებების მეოხებით, რომელიც მოხდა საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური თანამეგობრობის ძალიერების ზრდის, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე ლენინური საგარეო პოლიტიკის შედეგად. საბოლოო აქტმა, ხაზს უსვამს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჯხალ თორკილი ჩაწერა ევროპის სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთობაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის საქმეში, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის ნდობის კლიმატის შექმნაში. (საკდესი).

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲚᲘᲡᲘ

ᲕᲘᲔᲜᲜᲐ, 2 აგვისტო. (საკდესი). ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე შეიქმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის კომიტეტი. როგორც გაზეთი „სიენგ პასსონი“ იტყობინება, მასში შეიდნენ ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კეესონ ფომვიჰანი, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რეს პუბლიკის პრეზიდენტი სუფანუვონგი.

კომიტეტის შექმნა ლაოსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. იგი ხაზს უსვამს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური პარტია და მთავრობა უთმობენ ოქტომბრიობის ისტორიის უდიდესი მოვლენის — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის მომზადებასა და ღირსეულ შეხვედრას.

ᲤᲝᲠᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2. აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უოფილმა პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გააკრიტიკა ახლანდელი მთავრობის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, რასაც მოიყვა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესება. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ „ჰელსინკიმ ორთა საერთო აზრით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაუარესდა“ ახლანდელი ადმინისტრაციის ასეთი პოლიტიკის შედეგად. მან ამას „არაჯანსაღი ტენდენცია“ უწოდა.

ჯ. ფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ცივი ომის“ დროის დაბრუნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში ეწინააღმდეგება არა მარტო ამერიკელი და საბჭოთა ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს.

შეაფასა რა მოლაპარაკები ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა, ფორდმა აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკა ეფექტიანი არ არის.

ᲯᲐ. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 აგვისტო. (საკდესი). უორნალ „ტაიმში“ გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის პასუხი თელ რიგ კითხვებზე, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას და ზოგიერთ სხვა საერთაშორისო საკითხს.

პრეზიდენტს, კერძოდ, ჰკითხეს, რას ამბობს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ახლანდელი დროებითი შეთანხმების მოქმედების 3 ოქტომბერს ვადის გასვლასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, თქვა კარტერმა, სრქმებიერთ ერთმანეთს შეხვდებიან, სანამ ვადა გაუვიდოდეს ახლანდელი შეთანხმების მოქმედებას. თუ ვერ მოახერხებენ შეთანხმების მიღწევას, თქვა შემდეგ კარტერმა, ამიტომ ბრძოლა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი „შეძლებენ შეთანხმდებენ დროის გარკვეული პერიოდით გაახანგრძლივონ ახლანდელი შეთანხმების მოქმედების ვადა“. ფიქრობს, თქვა შემდეგ ჯ. კარტერმა, რომ ორივე მხარე თავს ვალდებულად განაცხადოს, რომ ჩვენ სწორედ ამის იმედი გვაქვს. როგორც კარტერმა თქვა, მხარეებს იმედი აქვთ ეს პრობლემა მოაწესრიგონ, სანამ ვადა გავიდოდეს ახლანდელი დროებითი ხელშეკრულების მოქმედებას.

შემდეგ კარტერმა თქვა, რომ მისი განცხადებანი ადამიანის უფლებათა შესახებ თითქოს არასწორად გაიგოთ. ისინი არ იყო მიმართული რომელიმე ერთი ქვეყნის წინააღმდეგ.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის პრობლემას, კარტერმა მხარი დაუჭირა ჟენევის საზავო კონფერენციის მოწვევას, შეცდომა იქნებოდა გვეგმარეულა თქვა მან, რომ ეს კონფერენცია ოთხი ან მოკლე იქნება. თუ ეგი გაამართება, ეს იქნება პირველი შესაძლებლობა, რათა არაბეთისა და ისრაელის ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდნენ ხანგრძლივი მოლაპარაკებისათვის, რომელზეც შეძლებენ გადაგონ ერთმანეთის მიდგომა, პოზიციები, ამბობს. უნდა ვთქვა, აღნიშნა კარტერმა, რომ ჩვენი პოზიციები ჩამოყალიბებულია გაზზრახ ზოგადად. ისინი მთლიანად არ ეხება არც ისრაელს, არც არაბეთის ხელმძღვანელებმა.

ყურადღებას აქცევს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა თავის პასუხში არაფერი არ თქვა ომის შესახებ, რაც მოწმობდეს ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შეცვლას საკითხებზე, რომლებიც აფერხებენ ჟენევის კონფერენციის მოწვევას, ისევე როგორც მასზე ახლო აღმოსავლეთის ფრთმორეობის მოწესრიგების განხილას.

უპასუხა რა კითხვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის განვითარებისა და ტაივანის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ, ჯ. კარტერმა თქვა: ადადუდგენელ ამოცანად არ მიგიჩნევთ ურთიერთობის ნორმალიზაცია ჩინეთთან, თუმცა ეს ჩვენი ერთ-ერთი მიზანია. მაგრამ ამ ამოცანის ადადწყვეტის პროცესში, უთუოდ, დაინტერესებული ვართ უზრუნველყოთ ამათი სიცოცხლე, ვინც ტაივანში ცხოვრობს. იმედი გვაქვს, რომ ამ ორი მიზნის მიღწევა არ იქნება შეუთავსებელი.

ამერიკის პრეზ ამ განცხადებას ხსნის როგორც ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას — განაგრძოს „ორი ჩინეთის“ პოლიტიკა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ გვალვიან რაიონებში ხორციელდება ერთიანი საირიგაციო სისტემის შექმნის გეგმა. ჰიმალაპრადეშის შტატში დამთავრდა მსხვილი ჰიდროკომპლექსის შენებლობა, რომლის არხების საერთო სიგრძე 40 კილომეტრს აღწევს. ახალ ჰიდროკომპლექსს მთელი ქვეყნისათვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას იძლევა მოირწყას ნახევარი მილიონი ჰექტარი მიწა და მთელი წლის განმავლობაში მეოდოვ დონეზე დაყენოს წყალი ბპაკრა-ნანგალის ელექტროსადგურის კაშხალთან, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ბპაკრა-ნანგალის ელექტროსადგურის კაშხალი.

ᲛᲢᲘ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტოქრონიკა.

ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲢᲔ-ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). აქ პრესკონფერენციაზე ლიბიის საყოველთაო-სახალხო კონგრესის გენერალური სამდივნოს წევრმა ა. ს. ჯელუდმა შეშფოთება გამოთქვა ეგვიპტე-ლიბიის საზღვარზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სადაც, როგორც მან თქვა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა ძალა უყრის თავს თავის შეიარაღებულ ძალებს.

ა. ს. ჯელუდმა აღნიშნა, რომ ეგვიპტისა და ლიბიის ამასწინანდელ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდნენ შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალებიც.

მან დაამო „პროპაგანდისტული ომი“ ლიბიის წინააღმდეგ, რომელსაც ეგვიპტე აწარმოებს.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 3 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა მ. სალეემმა სახალხო კრებაში მაცარად გაიალაშრა ლიბიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. მან თქვა, რომ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა პრეტენზიას არ აცხადებს ლიბიის ტერიტორიაზე, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ ეგვიპტე „ვერ შეურიგდება თავისი საზღვრის მახლობლად რომელიმე უცხოური სახელმწიფოს ჯარების თავმოყრას“.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ“

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). თითქმის 25 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ახორციელებდა ადამიანის ფსიქიკური საქმიანობის მიზანმიმართული შეცვლის შესაძლებლობის შესწავლის ფრაგელ პროგრამას. ამ პროგრამის მიზანი, რომელიც ამერიკელ გადასახადგადამხდელს 25 მილიონი დოლარი დაუჯდა, მკათოდ იყო ნამოყალიბებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 1952 წლის ერთ-ერთ მემორანდუმში: „ნებისმიერი მეთოდის კვლევა და შემოწმება. რომლის მოხმობითაც შეგვიძლება ინფორმაციის მიღება ადამიანისაგან მისი ნების გარეშე და მის დაუკითხავად“.

შემდეგ ამ ცინიკურ დოკუმენტში დასახელება ეფრეთვე მიზანი შეესწავლონ ადამიანის მოქმედების კონტროლის შესაძლებლობა, ითქვა ეგი „ასოციალედეს ჩვენს ბრძანებებს, თავისი ნების და უნების ისეთი ფუნდამენტური კანონების მეოხებითაც, როგორიცაა თვითგადარჩენის გრძნობა“.

ამ პროგრამას, რომელიც 1949 წელს დაიწყო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობამ მიანიჭა კოდური სახელწოდება „ლურჯი ფრინველი“. მოგვიანებით მას ეწოდა „არტიშოკი“.

„ლურჯი ფრინველი“-„არტიშოკის“ განხორციელებაში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჩაიბა სამი დიდი ეკიპაჟ ავლეკითი ცენტრი. „ავლეკის“ ათინასუბდა უშეალოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. იყენებდნენ აგრეთვე მთავრობის სხვა უწყებათა არხებსაც.

ეკსპერიმენტების ობიექტად ირჩევნენ, კერძოდ, ატლანტის (ჯორჯიის შტატი) და ბორდენტაუნის (ნიუ-ჯერსის შტატი) სატამრობიების ტუსლიები. მათზე ახდენდნენ ცდებს „ლსდ“ ნარკოტიკით, ჭალაჭ პროვიდენსში (როდ-აილენდი) (ნ. შტატი) იკსპერიმენტებს აწყობდნენ სულოთ ავადმყოფებზე. სულ „ლურჯი ფრინველი“-„არტიშოკის“ პროგრამა მოიცავდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ადგილის ათობით სამედიცინო დაწესებულებას. ბევრი მათგანის წარმომადგენლები ახლა ამტკიცებენ, თითქოს არ იცოდნენ, რომ მათს „ავლეკას“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამოინანსებდა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც „ლურჯი ფრინველის“ პროგრამას ანიკუთვნებოდა, მოისპო. ბევრი მნიშვნელოვანი მასალა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დაუმალა სენატს, რომელმაც 1975-1976 წლებში გამოიძია ჯაშუშური უწყების ანონსაწინააღმდეგო ოპერაციები. გაზეთი აღნიშნავს, რომ თვით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები არაოფიციალური საუბრის დროს აღიარებდნენ, რომ ათობით ამგვარი „საკლეკი პროექტი“ არსებობს, რომელთა შესახებ დოკუმენტები სამმართველოს არქივებშია დაცული.

პროგრამა „ლურჯი ფრინველი“-„არტიშოკი“ მხოლოდ 1973 წელს შეწყდა.

ᲥᲘᲠᲘᲚᲚᲘ ᲔᲮᲡᲠᲘᲓᲔᲜ

□

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲙᲕᲔᲪᲐᲕᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲐᲡ

● ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობის ხელოზოული კრიზისი წარმოების შეკეცვასა და მზარდ უმუშევრობას იწვევს ლოტარინგიის რაკინის მაღაროებში. ფოლადის მონოპოლიებმა გამოაცხადეს თავიანთი გეგმები, რომ 1983 წლამდე დაითხოვენ რკინის მადნის მოპოვებაზე დასაქმებული რვა ათასი მშრომელიდან სამი ათასს.

ᲠᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

● ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მე-16 სესიამ. კომიტეტის შემადგენლობაში, რომელიც შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად, შედიან 18 ქვეყნის წარმომადგენლები.

ახლანდელ სესიაზე მისი მონაწილენი განიხილავენ კომიტეტის მოხსენებას ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დებულების განხორციელების შესახებ და მისი შემდგომი შესრულების გზებს, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოს წვლილს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედების ათწლეულის ამოცანებისა და მიზნების მიღწევაში.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

● ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. აქ პრეზიდენტ ი. სარკისის თავმჯდომარეობით გაიმართა ლიბანის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა და კაიროს შეთანხმების განხორციელების ეტაპობრივი პროგრამის შესრულების პირველი შედეგები, რაც ლიბან-პალესტინის ურთიერთობას აწესრიგებს.

სხდომაზე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამჟამად ყველა მხარე ახორციელებს პოზიტიურ ღონისძიებებს იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებიც ახლახან ქალაქ შტორში მიიღეს სირიის, ლიბანისა და პალესტინის წინაალმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებმა.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲝᲡᲘ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით 63 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი.

1960 წელს კიპროსის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროიდან არქიეპისკოპოსი მაკარიოსი იყო მისი ეროვნული პრეზიდენტი. მანამდე იგი იყო კუნძულზე ინგლისის კოლონიური ყოფნის წინააღმდეგ კიპროსელი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1971 წლის ზაფხულში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეულით პრეზიდენტი მაკარიოსი ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში. ამ ვიზიტმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-კიპროსის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

ახლა, პრეზიდენტ მაკარიოსის გარდაცვალების შემდეგ, კიპროსის საჰელმწიფოს მეთაურის მოვალეობას კონსტიტუციის შესაბამისად შეასრულებს კიპროსის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ს. კიპროიანუ.

□

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲓᲔᲡ მიღწეული მორიგების შესაბამისად, დანიის სამხედროსაზღვაო ძალების ბემების რაზმი ნაღმოსანი გადამოობის „მენინ“ და საბაზო ტრალერების „ვილსუნდისა“ და „ულესუნდის“ შემადგენლობით 5-დან 8 აგვისტომდე ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა ლენინგრადს.

ᲚᲔᲥᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲙᲐᲓᲐᲠᲘ

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ გიგანტურ მემკვიდრეობაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და იქცევს წაწერომი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც სამოცდაექვსი წლის წინათ დაისტამბა და ჯახდა გზისა და ველის მაჩვენებელი ორიენტირი. ამ შრომით სარგებლობდნენ და სარგებლობენ როგორც პარტიული ლიდერები, ისე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება ხალხურობის საკითხსაც. თუ ლიტერატურა პარტიული იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი პროლეტარიატს ემსახურება. პროლეტარიატი კი თავისი დიქტატურით მშრომელი მასების, ხალხის ინტერესებს იცავს. ამრიგად, პარტიულობის პრინციპი უმაღლესი ტრანსფორმაციაა, რაც საბოლოოდ ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობამდე მიდის და ლიტერატურის დემოკრატიულ ხასიათს ასახავს. ეს პრინციპი თავისი არსებობით ძირს უთხრის დეკადენტიზმსა და თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ისეთ მმდინარეობებს, რომლებიც ელიტარული ესთეტიკის პრინციპებს იცავს.

ლენინური პარტიულობის პრინციპი ყოველთვის სწორად გაუზიარებიათ და შემოქმედებითად გამოუყენებიათ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს.

სკკპ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პარტიული მიდგომა ერთმანეთთან ახამებს შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი სათუთ დამოკიდებულებას, მის დახმარებას შემოქმედებითს ძიებაში და პრინციპულობას. ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად მისი იდეური მიმართულებაა. სწორედ ასე, ლენინურად იქცევიან ცენტრალური კომიტეტი, პარტიული ორგანოები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან იდეოლოგიური მუშაობის ამ ფფერიში“.

კომუნისტური პარტიის მაგისტრალური ხაზი თანამედროვეობის ასახვაა. პარტია მწერლებისაგან მოითხოვს მიმდინარე მოვლენების გაშუქებას, ადამიანთა შეგნებაში ლენინური პარტიული იდეების დანერგვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXV ყრილობის სიპატიო ტრიბუნიდან ითქვა:

„არ შეიძლება, რომ ეუშმარიტი ხელოვანი, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერია, არ გრძნობდეს დროის მაჩისცემას, განზე უდგებოდეს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, მთავარი გზის ნაცვლად ვიწრო ორღობეებში დადიოდეს. ვინც ამას ბოლომდე ვერ მიხვდა, გულდასმით დაუგდოს ყური თანამოკალმეების გამოხვლებს, ქართველ მწერლებს, საბჭოთა ლიტერატურის სახელგანთქმულ ოსტატებს“. და, მართლაც, ერთი ქართველი პოეტის თქმისა არ იყოს:

რად გინდა ლექსი უდღეური
და უფერადო,
საკუთარ ციხეზე სიმწრის
ოფლში დღეს რომ
გალაქე,
ადამიანთა მოძრაობას თუ არ
ბელადობ,
როგორც პოეტი, ბოლშევიკი,
და მოკალაქე?

ამ წერილის მიზანია მოკლედ განვიხილოთ ბოლო წლებში რამდენიმე პოეტის პოზიცია ლენინური პარტიულობის მიხედვით და ვიჩვენოთ, თუ რა პერსპექტივის სახვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ეს უმაღლესი პრინციპი.

რუსთაველის პრემიის ლაურეატის შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით ის არის მოსაწონი, რომ მის ლექსებში მაღალმხატვრული დონეზეა აყვანილი პარტიულობის ლენინური პრინციპები.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ჭაბოლი ბოეზიაში მიტად გახმაურებული ლექსი „კომუნისტები“:

რომ კომუნისტის სახელი
გერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა
ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.

ეს ერთგვარი ექსპოზიციაა ლექსის შინაგანი აზრობრივი დაძაბულობისაკენ მომავალ გზაზე. მთავარი ძაღლი აზრისა შემდეგ ჩნდება.

შ. ნიშნიანიძეს ნათლად ესმის წითელი მანდატის ძალა, დანიშნულება, ამიტომაც თანამედროვეად ეღერს და ყველავეს იფიერებს მისი მოწოდება:

მაშ გაუფრთხილდი მაგ
წითელ მანდატს —
მზისა და დროშის პაწია
ნაჭერს,
არ დაგავიწყდეს: შენ საჭეს
მართავ,
ლეგენდარული კომუნის
საჭეს!..

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲐᲮᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲘᲜᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲬᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲬᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐ



ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ, ᲒᲔᲚᲘᲗ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲐᲕᲭᲐᲚᲘᲡ გზატკეცილზე კინოთეატრ „საქართველოს“ მახლობლად ახლახან ხარაზოები ჩამოხსნეს სახლ-გიგანტს, რომელიც თავისი მასშტაბით მონაოსავე საწარმოთა შორის ერთ-ერთი უდიდესია კავშირში, ხოლო ამიერკავკასიაში — ერთადერთი. ეს არის საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლი, რომელიც ინფუსტრიულ რელსებზე გადაიყვანს ჩვენი თანამედროვე სერვისის ტექნიკას.

— რა ჯდება მაცივრის შეკეთება?

— გთხოვთ კარგ ხელოსანს გაიკეთებინოთ...

ასეთი და ამის მსგავსი კითხვები ერთხელ და სამუდამოდ გაქრა დამკვეთისა და შემსრულებლის ლექსიკონიდან. ეს იმიტომ, რომ მომსახურებაში ახალი პროგრესული მეთოდების დამკვიდრების შედეგად, რაც ამ ახალი ობიექტის ამოქმედების შემდეგ მოხდა, დამკვეთი და შემსრულებელი პირადად ვერც კი ხვდებიან ერთმანეთს. ყველაფერს აკეთებენ მიმღები კომპლექსური პუნქტები, რომლებიც ქალაქის ყველა უბანშია გახსნილი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ახეა მოპირკეთებული ცენტრალური საყოფაცხოვრებო სახლის წინა ფასადი; ქვემოთ — ცენტრალური საყოფაცხოვრებო სახლი ავჭალის გზატკეცილზე.
Გ. ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲩᲘᲡ ფოტო.

მაშ ასე. ავჭალის გზატკეცილი, ცენტრალური საყოფაცხოვრებო სახლი. რას წარმოადგენს და რა სიკეთეს მისცემს იგი ჩვენი დედაქალაქის მშრომელებს?

ამ მიმღებ პუნქტებში, საცხოვრებელი ადგილებისა და რაიონების მიხედვით რომ არიან განლაგებული, მომხმარებელს შეუძლია ცენტრალურ საყოფაცხოვრებო სახლში გამოუცხადებლად შეუკვეთოს მაცივრის, ტელევიზორის, მტვრსასრუტის, საათის შეკეთება, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმის და სხვათა შეკერვა.

მომსახურების ასეთი ფორმა საბოლოო ანგარიშით მოქალაქეს უზოგავს დროს, თავიდან აცილებს ზედმეტის გადახდის საშიშროებას. და, რაც მთავარია იგი გარანტირებულია დაკვეთის დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებით.

ახლა თვით სახლის შესახებ.

პირველი სართული: ცენტრალურ შესასვლელთან, გრანიტის ულამაზესი ქვით რომ არის მოპირკეთებული, ფართო და ნათელი დარბაზი დამამობილი აქვს ჩვენი თანამედროვე სერვისის ნიმუშების გამოფენას. ეს სიტყლე მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავისი გემოვნების მიხედვით აირჩიოს მისთვის საჭირო ნივთი და იქვე კომპლექსურ მომღებ პუნქტში შეუკვეთოს. დროის დაზოგვის მიზნით შეუძლია აქვე ისარგებლოს ფოტოატელიეთი, კოსმეტიკის კაბინეტებით, სპარიკმახეროთი. მარტო ამით როდი შემოთფარგლება სერვისის შესაძლებლობანი. ამავე სართულზე ფართო ადგილი აქვს გამოყოფილი სარემონტო გალერეურ, მექანიკურ, მოქრომვის და მონიკელების სახელოსნოებს, რომლებიც დედაქალაქში მოქმედ ბევრი კერძო ტალახოლი სახელოსნოების კონცენტრალიზაციისა და მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის თვალსაზრისით განხორციელდა.

250-ადგილიანი კაფე-რესტორანი პირველ სართულზე გაითვალისწინეს. კაფე-რესტორანი დღისით საყოფაცხოვრებო სახლის მუშებს მოემსახურება, ხოლო საღამოობით ახალგაზრდობის კაფე იქნება.

აი ნედლეულითა და მასალებით დაჭირვთული ავტომანქანა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლის ფართო კეთილმოწყობილ ეზოში შემოდის. შენობას მიადგება, თითქოს უნდა გაჩერდეს, მაგრამ... პირდაპირ შედის შენობის პირველ სართულზე და უჩინარდება. წუთიც და ავტომანქანა მეექვსე სართულზეა! ასეთი სატრანსპორტო მეურნეობა პირველია ჩვენს რესპუბლიკაში. მეორე სართული მთლიანად დათმობილი აქვს სასაწყობო მეურნეობას, მესამეზე განლაგებულია ტრიკოტაჟის სამკერვალეები. აქვეა საათების შემკეთებელი სამკერვალო, კინო და ფოტოაპარატების სარემონტო განყოფილება, კლუბი, სამკითხველო, წიგნი ეკითხე.

ეს კარგი, მაგრამ დაკვეთების შესრულებაზე პრეტენზია რომ გვქონდეს?

ამისათვის თქვენ შეგიძლიათ ახლიდან მეოთხე სართულზე, სადაც მოთავსებულია ადმინისტრაცია. მკითხველს ალბათ ისიც აინტერესებს, თუ სად, რომელ სართულზეა რადიო და ტელემომსახურების სამკერვალეები. მათი ადგილსამყოფელი პირველ სართულზე გამოკრულ „მაჩვენებელში“ V ციფრით არის აღნიშნული.

და, ბოლოს, მეექვსე სართული: აქ მოწყობილია ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვა-ხანდახანერი ნაწარმის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამკერვალეი.

ცენტრალური საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის საერთო ფართობი 17,5 ათასი კვადრატული მეტრია, ხოლო მომუშავეთა რიცხვი 850 იქნება. რიგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში გვითხრეს, ისინი დღემდე წვრილ სახელოსნოებსა და ჯახურებში მუშაობდნენ, ნაწილი სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებლიდან მოვიდნენ.

უდავოდ, ქვეს ღირსია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი, რომელმაც დადგილი სამუშაოები შესრულა და დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს თბილისის მოსახლეობას ახალი საჩუქარი უძღვნა.

Ზ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲜ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲜᲐ

ᲐᲛᲐᲡ წინათ უფაში გაიმართა სტუდენტთა XIX საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ბავშვთა ქირურგიის საკითხებზე. ფორუმში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები მზეეიხარ შატბერაშვილი, მაკა გოგიაშვილი და შოთა გიგაური (ხელმძღვანელი ასისტენტი გ. გაბუნია).

განსაკუთრებული მოწონება ხვდა თბილისელი სტუდენტების ნაშრომს, რომელიც საკურნალო ფაკულტეტის V კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა მ. გოგიაშვილმა გაიცხო კონფერენციის მონაწილეებს.

ქართველმა სტუდენტებმა მოგროვეს უმაღლესი — 12 ქულა და პირველი ადგილი დაიკავეს.

ჩვენი სტუდენტების გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ კონფერენციის მონაწილეთა ნაშუშავრები შეაფასა 24 კაცისგან შემდგარმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი ქვეყნიდან თვალსაჩინო მეცნიერები. ჟიურიმ 140 მოხსენებიდან ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს მიანიჭა ოქროს მედალი.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გ. შატბერაშვილმა, მ. გოგიაშვილმა და შ. გიგაურმა სტუდენტთა მე-17 და მე-18 კონფერენციებზეც, რომლებიც ერევანსა და ყაზანში გამართა, ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

Გ. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

კინოსტუდია „მოსფილმი“ სოხუმში იღებს ფილმს „აბალი მთვარის ღამეს“, აფხაზი მწერლის შალოდია აჯინჯალის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: კადრი მომავალი ფილმიდან.
Ი. ᲨᲣᲠᲘᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲜ, ᲙᲐᲥᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲮᲝᲜᲒᲘ, (საკ. კორ.). ხობის რაიონში მდებარეობს პატარა კეთილი ყულეგი, რომელიც ყურადღებას იქცევს შესანიშნავი ჰავით, ზომიერი ქარითა და ზამთრის თბილი დღეებით.

ხობელებმა სამოცდაათიან წლებში ყულეგში ბავშვთა კეთილის მშენებლობა დაიწყეს. იქ, სადაც მდინარე ხობი შავ ზღვას ერთვის, აშენდა ლამაზი დასასვენებელი კოტეჯები, საკურორტო ზონა გაამწვანეს, გაბსნეს კულტურულ-საგანძანალებელი ფესვეულებები.

ახლა ყულეგში მუშაობს განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური პიონერთა ბანაკი „კოლხეთი“, სადაც ყოველწლიურად ახალგაზრდობა ჯახირთულობას იკავებს.

წლეულს ბანაკში ბევრი დამსვენებელი მიიღეს რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან. ბავშვები მაიარულად ატარებენ არდადეგების დღეებს. იმართება საღამოები, შეჯვარები, სპორტული შეჯიბრებები. ბოეყოო ნეპტუნის დღესასწაული, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალისადმი მიძღვნილი საღამო — „დაე მუდამ იყოს მზე“!

ᲒᲕᲘᲠᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ-ᲤᲘᲚᲛᲘ“

ᲛᲝᲣᲧᲐᲠᲣᲚᲝᲗᲐ ფილმების რესპუბლიკურ ფესტივალზე ფილმმა „მუდე გზით“ დიდი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს სურათი შექმნა მახარაძის რაიონის სოფელ კინკეკაოის მოყვარულთა კინოსტუდიამ. იგი მასვილეონიერად გვიამბობს ბრაკონიერების შესახებ, რომლებიც ზიანს აყენებენ რესპუბლიკის თევზის მეურნეობას. მთავარ როლებში გადაიღეს კოლმეურნეები გიორგი ხიტარაძე, დიმიტრი მალაზონია, გიორგი სახელაშვილი, სახოფლო საბჭოს თავმჯდომარე ა. ლოდია.

— ჩვენი სტუდია „ციისკარი“ სულ ორი წლისაა, — ამბობს მისი ხელმძღვანელი კინეკეთის საშუალ სკოლის პედაგოგი გ. ტუღუში. — შემოქმედებითმა კოლექტივმა ამ მცირე ხნის განმავლობაში სამი ფილმი შექმნა. პირველი ფილმი დოკუმენტურია — „კინეკეთი-75“, მაყურებელი ეკრანზე 12 წუთის განმავლობაში ეცნობა სოფლის ისტორიას, კოლმეურნეობის ეკონომიკის განვითარებასა და განმტკიცებას, სოფლის მცხოვრებთა კულტურულ დასვენებას.

შეიძლება ითქვას, რომ კინეკეთში შექმნილი ფილმები ოჯახური ფილმებია. მათს სცენარს წერს სოფლის კლუბის გამგე დავით ტუღუში. რეჟისორი და ოპერატორია მისი ვაჟი გურამი, ფილმს ასმოვნებს გურამის მეუღლე სულიკო, რომელიც ადგილობრივი სკოლის პედაგოგია. სტუდიას არსებით დახმარებას უწევს სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა, რომლებმაც სტუდიისათვის შეიძინეს აპარატურა და გამოუყვეს შენობა. კინომოყვარულთა წარმატებანი ნათელია. რესპუბლიკურ ფესტივალზე გამარჯვებამდე სტუდია ცხრა მედლით დაჯილდოვდა.

Გ. ᲑᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
(საქინფორმის კორ.).

ᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ...

ᲘᲒᲘ მოსკოვში მხოლოდ მაშინ უნდა ჩამოეყვანათ, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა — ასე შეუთანხმდნენ საბჭოთა ქირურგები თავიანთ ბულგარელ კოლეგებს. იმედოვნებდნენ, რომ ჩვიდმეტი წლის გაბროვოელი ჭაბუკი სემეონ მუნევი კიდევ რამდენიმე ხანს გაძლებდა უოპერაციოდ და დაამთავრებდა სწავლას ტექნიკუმში. მაგრამ ავადმყოფობა სწრაფად ითარდებოდა. ქრონიკული ნეფრიტი სულ უფრო ფიტავდა ორგანიზმს. იძულებული გახდნენ სემეონი მოსკოვში გამოეგზავნათ. საბჭოთა ექიმებმა იგი მოსკოვის ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის ინსტიტუტში დაწვინეს და ოპერაციისათვის მზადებას შეუდგნენ. მისი წარმატება ახლა დიდად იყო დამოკიდებული ამაზე, თუ რამდენად სწრაფად აშოკვიდნენ თირკმელს, რომლის ქსოვილის სტრუქტურა გადანერგვის დროს ავადმყოფის ორგანიზმის ქსოვილის სტრუქტურას დაემთხვეოდა.

აი სწორედ მაშინ გაიმართა ორი კოლეგის — მოსკოვის ინსტიტუტის თირკმლების გადანერგვის განყოფილების გამგის ქირურგ ედგარ ლევიჩკისა და ბერლინის ტრანსპლანტაციის ცენტრის ქირურგის პიტერ ალტჰაუსის საუბარი ტელეფონით.

— ედგარ, — უთხრა ალტჰაუსმა, — როგორც შევთანხმდით, ჩვენ შევეკიდნა თვითმფრინავით გამოგიგზავნოთ თირკმელი სულგარელი ჭაბუკისთვის, თუ ეს საჭიროა.

— გმადლობთ პიტერ. ძალიან საჭიროა.

— თირკმლის კონტეინერს დაბვდით ბერლინის რეისით...

ბერლინიდან ჩამოფრენილ თვითმფრინავს ედგარ ლევიჩკი და პავლე ფილიპცევი დახვდნენ. სწორედ პავლესა და კიდევ მის ორ კოლეგას ვასილ სლეპკოვსა და ნიკოლოზ პორიაღინს უნდა გაეკეთებინათ ამ საღამოს ოპერაცია სემეონ მუნევისათვის.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ფილიპცევი ოცდაათი წლისაა, მაგრამ უკვე ასობით ოპერაცია აქვს გაკეთებული. იგი შესანიშნავად არის თეორიულად მომზადებული და კარგად ფლობს ქირურგიულ ტექნიკას.

...სანიტარიული მანქანა პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპს მიადგა. გამოსვლისას მგზავრები გაოცებით შეხედეროდნენ „სასწრაფო დახმარების“ მანქანას. რა იცოდნენ, რომ მათი თვითმფრინავით ბერლინიდან მოჰქონდათ ცოცხალი თირკმელი, რომელსაც ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე უნდა ეხსნა. ლაინერის სალონიდან უკანასკნელი გამოვიდა ეკიპაჟის მეთაური. იგი ფრთხილად დაეშვა კიბეზე — ხელში ჭაფლასტის კონტეინერი ეჭირა.

რამდენიმე წამიც, და მანქანა ყურთა სმენის ნამღერი სირენით გაიჭრა გზატკეცილზე და მოსკოვისკენ გაეშურა.

20 საათი და 10 წუთია. მუნევი ლიფტით საოპერაციო ბლოკში აიყვანეს. სანამ მასთან ანესტეზიოლოგები არიან, ქირურგებს რამდენიმე თვისუფალი წუთი აქვთ. ისინი დინჯად საუბრობენ. ძალიან უნდათ, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიაროს. სამივე უკვე გაეცინა სემეონს. კარგი ჭაბუკია, ხალისიანი, რუსული საკმაოდ კარგად იცის.

დერეფანში ქირურგებმა კაცი შენიშნეს.

— თქვენ გიუკეთებთ ოპერაციას სემეონს?

— დიახ, — უპასუხა ფილიპცევმა.

— მე მუნევის მამა გახლავართ, ჩემი შვილი... — კაცი ამლოსკენ მიტრიალდა.

— გასაგებია. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, ნუ ღელავთ.

ოპერაცია ზუსტად 21 საათზე დაიწყო. მარტივად რომ ვთქვათ, მისი არსი ასეთი იყო. ნეფრიტით დაავადებულ თირკმლებს, როგორც წესი, არ ამოკვეთენ ხოლმე, რადგან ორმად არიან განლაგებული და იქამდე ჩასვლა საზიფათოა. ამიტომ ქირურგები ახალ ორგანოს გვერდით მიარგავენ. საჭიროა, რომ მან შეასრულოს ორგანიზმის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციები: წ�ნდეს სისხლს წიდებისაგან და არეგულირებდეს სისხლის მიმოქცევას. ამისათვის კი თირკმელს სისხლის მიმოქცევაში ჩართვენ ხოლმე მის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ადგილას.

21 საათი და 30 წუთია. საოპერაციო ოთახის სიჩუმეს დროდადრო არღვევს ელექტროდანის ტაკაცუნი, ინსტრუმენტების წკარუნი, ექიმების მოკლე ფრაზები: „მოსაჭერი. ისევ მოსაჭერი... გაამრეთ... მომინათეთ...“

ბოლოს ბერლინის კონტეინერის გახსნის დროც დადგა. პოლეთილენის სამმაგი ფენით დაცული და ყინულში ნადებული თირკმელი მშვენივრად იყო შენახული. ქირურგები დაუყოვნებლივ შეუდგნენ სისხლძარღვების გადაბმას.

23 საათია. ახალი თირკმელი „ჩართულია“. იგი თვალსა და ხელს შუა ცოცხლდება. ტრანსპლანტატი ჯერ კიდევ ხელისგულზე უდევს ვასილ სლეპკოვს. ჯერ აფრქვევ, მისი ჩადგმა. მაგრამ ეი სისხლით გავსილი ღია ვარცისფერი თირკმელი შინდისფერი გახდა, იგი ცოცხალია, ფუშაობს. და უცვე დაინახეს პაწაწინტელა, ორმილიმეტრიანი დიამეტრის სისხლძარღვის დინამტი, რომელიც გამოშვერილიყო თირკმლიდან. იგი ოდესღაც ტრანსპლანტატის ქვედა პოლუსს ასაზრდოებდა, სისხლის მიმოქცევაში მის ჩაერთველად თირკმელი სრულფასოვანი ვერ იქნება. ნოგიერთი უიცხოელი ქირურგი წინადადებას იძლევა ასეთ შემთხვევაში გადასაჭრელ იგი. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა შეიმეცნეს მეთოდაკა, რომელიც საერთო სისხლის მიმოქცევის სისტემასთან მისი შეერთების საშუალებას იძლევა. ამისათვის საკმარისია მხოლოდ ალეთვო ვენა, რომლის დიამეტრი სისხლძარღვის დიამეტრის ტოლი იქნება. და ექიმები ეძებენ მას, ზუსტი მოძრაობებით ამოშუბენ ქსოვილის თითოეულ სანტიმეტრს. ფალიტაცვენა ალეთვა და ფაქიზი გვირისტულთა გაკერა მისი დანამატები.

ოპერაცია დაახლოებით ღამის ორ საათზე დამთავრდა. დაოღლილი ქირურგები სარდიანატორიუმში შედიან, სვამენ რძეს და ყველ ხუთ წუთში რეკავენ რეანიმაციაში — როგორ არის ავადმყოფი? მათ უპასუხებენ: ნორმალურად, უკვე გაიღვიძა, სისხლის მიმოქცევა რიგზეა, გადანერგილი თირკმელი მუშაობს. მაგრამ არც ფილიპცევი, არც სლეპკოვი და არც პორიაღინი ძილამდე შინ არ წავლენ, ისინი რიგრიგობით ავლენ რეანიმაციაში და თვალყურს ადევნებენ ბულგარელ ჭაბუკს, რომლის სიცოცხლე ღღეს მეორედ დაიწყო.

ᲕᲚ. ᲘᲐᲜᲔᲚᲘᲡᲘ.
(აახ).

ᲡᲔᲛᲔᲝᲜ ᲛᲣᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲬᲕᲘᲚᲘ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ

ᲓᲐᲒᲐ ᲧᲣᲜᲔᲗᲘ,
ᲔᲚᲖᲐ, ᲘᲚᲘᲐ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ



ᲗᲕᲔᲜᲗᲐᲜ ერთად ჩვენი სამხედრო ნაწილის მეთაურობა ამაყობს შესანიშნავი ჯარისკაცის გიორგი რევაზიშვილის ჩინებული სამსახურით. იგი ისე ერთგულად ასრულებს სამხედრო ფიცს, რომ მისაბაძია ყველა ჯარისკაცისათვის.

თქვენი შვილი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, მეთაურებსა და ჯარისკაცებში ავტორიტეტით სარგებლობს. ერთი სიტყვით, ასეთი შვილის აღზრდისათვის მადლობას გიოვლით და ცხოვრებაში მუდამ წინსვლას გისურვებთ.

Მ. ᲢᲔᲠᲔᲜᲝᲛᲝᲚᲔᲩᲘ,
სამხედრო ნაწილის მეთაური;
Ნ. ᲓᲣᲠᲓᲘᲜᲘ,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

□

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲗᲐᲗᲘᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲡ



ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ გატყობენ ᲗᲥᲕᲔᲜ, რომ თქვენი შვილი ტარიელ თათელაძე კეთილსინდისიერად იხდის სამხედრო ვალდებულებას.

იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, თავის გამოცდილებას უზიარებს ამხანაგებს. დარწმუნებული ვართ, რომ ნაწილის პირადი შემადგენლობისათვის იგი კვლავ სამაგალითო იქნება.

ძვირფასო მშობლებო, მადლობას გითვლით ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის და გისურვებთ შემდგომ სიკეთეს შრომასა და ცხოვრებაში.

Ი. ᲠᲝᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,
ნაწილის მეთაური;
Ლ. ᲒᲠᲐᲜᲘᲙᲘ,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

□

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲯᲣᲯᲣᲜᲐ, ᲡᲐᲛᲨᲝ ᲠᲣᲮᲐᲫᲔᲔᲑᲡ

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ მადლობას გიგზავნით ხამგალითო ჯარისკაცის ალექსანდრე რუხაძის აღზრდისათვის. მოკლე ხნის მანძილზე მან 5 ჯილდო დაიმსახურა. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებაში, სამხედრო ფიცის პირნათლად შესრულების საქმეში.

პატიოსანი, შემსრულებელი ჯარისკაცი სამაგალითოა ყველასათვის. ყოველივე ეს ჩვენს გულს ახარებს და ამ სიხარულს თქვენც გიზიარებთ.

Ე. ᲝᲠᲙᲘᲜᲘ,
სამხედრო ნაწილის მეთაური;
Ლ. ᲚᲔᲕᲘᲩᲘᲫᲘ,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

□

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ, ᲯᲐᲘᲐ ᲗᲔᲗᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲡ



„ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ფრიადოსანი!“. ეს ჯილდო მიიღო ამას წინათ თქვენ მა შვილმა პავლე თევზოსანმა. იგი კარგი დისციპლინიზა და სამაგალითო ჯარისკაცია. ამიტომ იყო, რომ პავლე პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ამასთან მას თანამებრძოლებმა ქვედანაყოფის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნობა ანდეს.

სამხედრო ნაწილიდ მეთაურობამ იგი მრავალჯერ წაახალისა ხსნდასხვა ჯილდოებით. ახლა კი ერთ-ერთ კარგ ჯილდოს — კარგი შვილის აღზრდისათვის გულწრფელ მადლობას თქვენ გიძღვნით და გისურვებთ წარმატებას.

Ლ. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ,
სამხედრო ნაწილის მეთაური,
Ო. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ...

— ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, რომ 1978 წელს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში უნდა მონაწილეობდეს 16 კი არა, 24 გუნდი — განაცხადა მოულოდნელად ერთ-ერთ ინტერვიუში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფას) პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა. — შესარჩევ მატჩებში ძალიან ბევრი ღირსეული პრეტენდენტი ხვდება ერთმანეთს.

მაგრამ, როგორც საკვლევის კორესპონდენტი იტყობინება, აველანჟმა ისიც, თქვა, რომ ეს პრეზიდენტის პირადი მოსაზრებაა და არგენტინაში მაინც 16 ნაკრები გამოვა, ორი მათგანი (არგენტინისა — ჩემპიონატის მასპინძელი და დასავლეთ გერმანიისა — წინა ჩემპიონი) უკვე კარგახანია მსოფლიო პირველობისათვის სპეციალური მზადების პროგრამით ვარჯიშობს, კიდევ ორმა — ბრაზილიისა და პერუს გუნდებმა სამხრეთ ამერიკის ქალაქ კალიში შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვეს. რჩება 12 უნაზი.

შესარჩევ ასპარეზობაში ახლა შეხვედებაა. თამაშები განსრულდება 31 აგვისტოს პოლანდიისა და ისლანდიის გუნდების მატჩით. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ამკარა ფავორიტების დასახელება: მხოლოდ შემთხვევას ან გაუთვალისწინებელ მდგომარეობას შეუძლია ხელი შეუშალოს მათ ევროპული ფეხბურთი წარადგინონ არგენტინაში.

ესენი არიან პოლონეთის (პირველი ჯგუფი), იტალიის (მეორე), ავსტრიის (მესამე), ჰოლანდიის (მეოთხე), საფრანგეთის (მეხუთე), შვეიცარის (მეექვსე), რუმინეთის (მერვე) გუნდები. მეცხრე ჯგუფის გამარჯვებული უნგრეთის ნაკრები 30 ნოემბრამდე ორ თამაშს გამართავს ბოლივიის გუნდთან. ურუგვაელი მდგომარეობა მეშვიდე ჯგუფში, სადაც ჩეხოსლოვაკიის, უელსისა და შოტლანდიის გუნდებს ორ-ორი ქულა აქვთ და ერთმანეთთან თითო შეხვედრა დარჩათ, ამასთან — თითო თამაში საკუთარ მოედანზე.

სხვათაშორის, თუმცა ჯერ კიდევ განაღდებული არა აქვთ ადგილი ფინალში, მაგრამ ბევრი გუნდი უკვე ესტუმრა მომავალი ასპარეზობის ადგილებს. კვირეულ არგენტინაში ტურნე მოაწყვეს პოლონეთის, ინგლისის, შოტლანდიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის ნაკრებმა გუნდებმა.

შვეიწროვდა არგენტინაში აფრიკიდან გამგზავრების პრეტენდენტთა წრეც. 24 გუნდის მრავალსაფეხურიანი ტურნირის შემდეგ ლიდერთა შორის არიან ნიგერიის, ეგვიპტისა და ტუნისის გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შორის გაითამაშებენ ერთადერთ ადგილს.

ზემპიონატისათვის ემზადებიან ჟურნალისტებიც. წინასწარი ცნობებით 352 ფეხბურთელიდან თითოეულზე მოდის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის 15 წარმომადგენელი.

ᲛᲔᲨᲕᲘᲚᲓᲝᲜᲔᲑᲐ

ᲓᲔᲒᲘᲣᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲮᲐᲚᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲩᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲐᲓᲚᲝᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲔᲜᲓᲐ 16 ᲙᲘ ᲐᲠᲐ, 24 ᲒᲣᲜᲓᲘ — განაცხადა მოულოდნელად ერთ-ერთ ინტერვიუში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფას) პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა. — შესარჩევ მატჩებში ძალიან ბევრი ღირსეული პრეტენდენტი ხვდება ერთმანეთს.

მაგრამ, როგორც საკვლევის კორესპონდენტი იტყობინება, აველანჟმა ისიც, თქვა, რომ ეს პრეზიდენტის პირადი მოსაზრებაა და არგენტინაში მაინც 16 ნაკრები გამოვა, ორი მათგანი (არგენტინისა — ჩემპიონატის მასპინძელი და დასავლეთ გერმანიისა — წინა ჩემპიონი) უკვე კარგახანია მსოფლიო პირველობისათვის სპეციალური მზადების პროგრამით ვარჯიშობს, კიდევ ორმა — ბრაზილიისა და პერუს გუნდებმა სამხრეთ ამერიკის ქალაქ კალიში შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვეს. რჩება 12 უნაზი.

შესარჩევ ასპარეზობაში ახლა შეხვედებაა. თამაშები განსრულდება 31 აგვისტოს პოლანდიისა და ისლანდიის გუნდების მატჩით. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ამკარა ფავორიტების დასახელება: მხოლოდ შემთხვევას ან გაუთვალისწინებელ მდგომარეობას შეუძლია ხელი შეუშალოს მათ ევროპული ფეხბურთი წარადგინონ არგენტინაში.

ესენი არიან პოლონეთის (პირველი ჯგუფი), იტალიის (მეორე), ავსტრიის (მესამე), ჰოლანდიის (მეოთხე), საფრანგეთის (მეხუთე), შვეიცარის (მეექვსე), რუმინეთის (მერვე) გუნდები. მეცხრე ჯგუფის გამარჯვებული უნგრეთის ნაკრები 30 ნოემბრამდე ორ თამაშს გამართავს ბოლივიის გუნდთან. ურუგვაელი მდგომარეობა მეშვიდე ჯგუფში, სადაც ჩეხოსლოვაკიის, უელსისა და შოტლანდიის გუნდებს ორ-ორი ქულა აქვთ და ერთმანეთთან თითო შეხვედრა დარჩათ, ამასთან — თითო თამაში საკუთარ მოედანზე.

სხვათაშორის, თუმცა ჯერ კიდევ განაღდებული არა აქვთ ადგილი ფინალში, მაგრამ ბევრი გუნდი უკვე ესტუმრა მომავალი ასპარეზობის ადგილებს. კვირეულ არგენტინაში ტურნე მოაწყვეს პოლონეთის, ინგლისის, შოტლანდიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის ნაკრებმა გუნდებმა.

შვეიწროვდა არგენტინაში აფრიკიდან გამგზავრების პრეტენდენტთა წრეც. 24 გუნდის მრავალსაფეხურიანი ტურნირის შემდეგ ლიდერთა შორის არიან ნიგერიის, ეგვიპტისა და ტუნისის გუნდები,